ვიდრე გვიანი არაა...

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 11 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი) – „ზაგლემბე“ (ქ. სოსნოვეცი, პოლონეთი) – 1:2 (1:1).

„ზაგლემბე“: ჯიუროვიჩი; სკიბა, ბაზანი, სპევაკი; ფულჩიკი (პეციკი), კომადარი; გაიკი, უზნანსკი, კრავიაში, მიგა, კოსიდორი (მაევსკი).

„დინამო“: ლეჟავა; წუწუნავა, ხურცილავა, ხოჭოლავა; ზეინკლიშვილი, ხელაძე (გ. სიჭინავა); ფიფია, მელაშვილი (ხუნდაძე), კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი.

მსაჯი: მ. ამბარცუმიანი (ერევანი).

თბილისის დინამოელთა გუშინდელი მოწინააღმდეგე – პოლონეთის „ზაგლემბე“ ცნობილი გუნდია. შარშან იგი თამაშობდა „სტალის“ სახელით და თავისი ქვეყნის ჩემპიონატში მე–7 ადგილი დაიკავა. წელს „ზაგლემბე“ საგრძნობლად გაძლიერდა და ლიდერობს პოლონეთის პირველობის გათამაშებაში. ამიტომ თვით ფაქტი დინამოელთა დამარცხებისა, არაა სენსაციური და გასაკვირი. ასეთ შემთხვევებში როგორც იტყვიან, წაგება და მოგება ძმები არიან. მაგრამ გაოცებას და შეშფოთებას იწვევს თბილისელთა ძალზე უსისტემო, ქაოტური თამაში, ცალკეულ მოთამაშეთა აბსოლუტური დაუმორჩილებლობა საერთო სათამაშო გეგმისადმი, გუნდის ხაზებს შორის შეუთანხმებლობა და გაუგებრობა.

ლაპარაკია არა იმ დებიუტანტებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ შეეწყვნენ ანსამბლს. მათი შეცდომები ბუნებრივია და მისატევებელიც. მკაცრი საყვედურის ღირსნი არიან ის მოთამაშეები, ვინც „დინამოს“ წამყვან ძალას წარმოადგენს და ვისი იმედითაც დღეს იმყოფება კოლექტივი. მართალია, მატჩი „ზაგლემბესთან“ ჩვენი გუნდისათვის საწვრთნელი გეგმის ერთ–ერთ ეტაპს წარმოადგენს, მაგრამ საერთაშორისო შეხვედრის ასე სუსტად ჩატარება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ ჩემპიონატის სტარტი კარზეა მომდგარი.

განსაკუთრებით ცუდად ითამაშეს დინამოელებმა მეორე ტაიმში. სრულ პასიურობას იჩენდნენ დათუნაშვილი და კალოევი. გუნდში არეულობის მეტი არაფერი შეჰქონდათ იამანიძეს, ხუნდაძეს, გ. სიჭინავას. თავდასხმისა და ნახევარდაცვის მოქმედებაში არ ჩანდა რაიმე სისტემა, გარკვეული გეგმა და მიზანდასახულება, მოწინააღმდეგის კარის აღების რაიმე აზრიანი გზის ძიება. ვისაც ბურთი ჰქონდა, ის იმ მომენტში თამაშობდა ისე, როგორც მოეპრიანებოდა. მწვრთნელთა დავალების შესრულება არც ერთს არ მოსვლია აზრად.

მოსალოდნელი იყო, რომ კალოევის მიერ გატანილი პირველი გოლის შემდეგ გუნდი ააწყობდა თამაშს, მაგრამ მოხდა პირიქით. პოლონელებმა ჯერ გაქვითეს გოლი (გაიკი) და მერე გადამწყვეტი ბურთიც გაიტანეს (უზნანსკი),. რომელმაც მათ მოუტანა დამსახურებული გამარჯვება.

სჯობს ახლავე, სანამ ჯერ კიდევ არის დრო, თბილისის „დინამოს“ თითოეულმა წევრმა სერიოზული ანალიზი გაუკეთოს კოლექტივის ცუდი თამაშის მიზეზებს.

რ. ქორიძე.
12 აპრილი, 1962 წ.